ქართულ-ოსური კავშირი
"იბერ-იონი"

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეტა: პოლიტიკური პარტიების ხედვა

მასალიების კრებული

რედაქტორები: მაია ცაბოშვილი
შალვა ძებისაშვილი

თბილისი 2005

ქართულ-ოსური კონფლიქტის გადაწყვეტა: პოლიტიკური პარტიების ხედვა. მასალების კრებული მ. ცაბოშვილის და შ. ძებისაშვილის რედაქციით. თბილისი, 2005

წინამდებარე გამოცემას საფუძვლად დაედო პოლიტკური პარტიების ზოგიერთი ლიდერის და პოლიტოლოგის გამოსვლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თბილისში 2005 წლის 14 დეკემბერს ჩატარებული მრგვალი მაგიდის მუშაობაში. შეხვედრა ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,იბერ-ირონი“.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შემდგენელთაგან	6
კითხვარი	9
მაია ცაბოშვილი	11
ია თიკანაძე	13
პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა	
გამოსვლები	
ირაკლი ქავთარაძე	16
ფიქრია ჩიხრაძე	21
პაატა ზაქარეიშვილი	29
გიორგი გუგავა	40
ზურაბ ტყემალაძე	45
დასკვნა	48
სამშვიდობო ინიციატივები	
საქართველოს პრეზიდენტის	
მიხეილ სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივა	50
,,ნოღაიდელის სამშვიდობო გეგმა“	56
,,იბერ-ირონის“ სამშვიდობო ინიციატივა	66
საერთაშორისო გარანტორთა ჯგუფის პროექტი	71
„იბერ-ირონის“ პროექტი ,,სამხრეთ-ოსეთის	
1989-92 წლების მოვლენების შეფასება“	74
ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ-ოსეთის დე-ფაქტო	
პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადება	79

შემდგენელთაგან

შეხვედრის მნიშვნელობა განპირობებულია იმ მოვლენებით, რომლითაც ხასიათდება კონფლიქტის რეგიონის გარშემო შექმნილი პოლიტიკური ვითარება. პირველად საქართველოში გადაიდგა ნაბიჯები იმის გამოსარკვევად, თუ რა დამოკიდებულება გააჩნიათ საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს ქართულ – ოსურ კონფლიქტთან ზოგადად და მის დარეგულირების გზებთან ზოგადად.

შეხვედრის დაწყებისთანავე მონაწილეებს განემარტათ, რომ სასურველი იქნებოდა შეხვედრის გამოყენება არა პოლიტიკური განცხადებებისათვის, არამედ კონკრეტული წინადადებების გასაკეთებლად კონფლიქტთან დაკავშირებით. ამისათვის კი, გამოეყენებინათ წინასწარ დარიგებული კითხვარი, სადაც ჩამოთვლილი იყო რიგი კითხვებისა, რაზეც პასუხის გაცემა ნათელ წარმოდგენას შექმნიდა ამა თუ იმ პარტიის დამოკიდებულებაზე კონფლიქტის დარეგულირების კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით.

საქართველოში მოქმედი ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობისათვის, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია ,,იბერ – ირონისათვის" საინტერესო იყო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების პოზიციების დაფიქსირება და შესაძლებლობის ფარგლებში ერთიანი მიდგომის შემუშავება. მეორე პუნქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საშუალებას იძლევა როგორც მინიმუმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პარტიული კონსენსუსის მიღწევისა. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის კონფლიქტის დარეგულირების სხვა საკითხებზე მუშაობის შემდგომ გაგრძელებას.

შეხვედრაში მონაწილეობის მსურველთა სია რეალურ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ ვინ არის დაინტერესებული ქართულ – ოსური კონფლიქტის პრობლემით. ხოლო ის მაჩვენებელი, თუ ვინ დაესწრო შეხვედრას, კიდევ ერთი ინდიკატორია იმისა, თუ როგორ ემთახვევა პრობლემის გადაწყვეტის დეკლარირებული სურვილი და მზადყოფნა რეალური ნაბიჯების გადადგმას. ამრიგად, მსგავსი შეხვედრების პერიოდული ჩატარება ხელს შეუწყობდა არა მხოლოდ პრობლემატური საკითხების გარშემო ნათელი სურათის შექმნას, არამედ ქართულ – ისური კონფლიქტის იმ კუთხით განხილვას, რაც ნაკლებად, ან საერთოდ არ ხდება, როგორც ხელისუფლებაში, ასევე მის ოპონენტ პოლიტიკურ ძალებში.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, რესპუბლიკური, ლეიბორისტული, მრეწველთა პარტიების და ახალი მემარჯვენეების წარმომადგენლებმა. ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ქართულ – ოსური ურთიერთობების პრობლემატიკით დაინტერესებულმა ექსპერტებმა. შეხვედრამ დიდი დაინტერესება გამოიწვა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საზოგადოებაშიც. რიგი

წარმომადგენლებისა რეგიონიდან პირადად დაესწრო შეხვედრას და საშუალება მიეცათ საკუთარი დასკვნების გამოტანისა.

შეხვედრის დაწყებისთანავე მონაწილეებს განემარტათ, რომ სასურველი იქნებოდა შეხვედრის გამოყენება არა პოლიტიკური განცხადებებისთვის, არამედ კონკრეტული წინადადებების გასაკეთებლად კონფლიქტთან დაკავშირებით. ამისათვის კი გამოეყენებინათ ორგანიზატორების მიერ შედგენილი წინასწარ დარიგებული კითხვარი, სადაც ჩამოთვლილი იყო რიგი კითხვებისა, რაზეც პასუხის გაცემა ნათელ წარმოდგენას შექმნიდა ამ თუ იმ პარტიის დამოკიდებულებაზე კონფლიქტის დარეგულირების კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით.

მაია ცაბოშვილი
შალვა ძებისაშვილი

კითხვარი

1. საქართველოს ხელისუფლების ქართულ – ოსური კონფლიქტის მოგვარების რომელი სამშვიდობო ინიციატივა არის თქვენთვის მისაღები?

2. ამ კონფლიქტს აფასებთ როგორც –

- ✓ პოლიტიკური კონფლიქტი;
- ✓ ეთნოკონფლიქტი;
- ✓ ტერიტორიული კონფლიქტი;
- ✓ ეთნო – ტერიტორიული კონფლიქტი;
- ✓ სხვა.

3. საქართველოს სახელმწიფო წყობის თქვენთვის მისაღები ფორმაა

- ✓ უნიტარული;
- ✓ ფედერაციული;
- ✓ კონფედერაციული;
- ✓ ასიმეტრიული ფედერაცია/ უნიტარული ავტონომიებით.
- ✓ სხვა.

4. როგორ გესახებათ ქართულ – ოსური კონფლიქტის დარეგულირების დროის ჩარჩოები

- ✓ 1 წელი;
- ✓ 3 – 5 წელი;
- ✓ 5 – 10 წელი;
- ✓ 10 წელზე მეტი.

5. არის თუ არა ძალისმიერი გზა პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზა?

6. მიგაჩნიათ თუ არა მართებულად სადღეისოდ ცხინვალის რეგიონის / სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ – სამართლებრივ სტატუსზე საუბარი?

7. რა როლს ანიჭებთ სოციალურ – ეკონომიკური საკითხების მოგვარებას?

8. თვლით თუ არა, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონა იქნება საფუძველი რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის?

9. უნდა იყოს თუ არა და რა ფორმით და ხარისხით ჩართული ქართულ – ოსური კონფლიქტის მოგვარებაში რუსული და ამერიკული მხარეები, საერთაშორისო ორგანიზაციები?

მაია ცაბოშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია
,,იბერ – ირონის თავმჯდომარე

მოგესალმებით. უპირველეს ყოვლისა მადლობას მოგახსენებთ, რომ ღებულობთ მონაწილეობას დღევანდელ შეხვედრაში, რომლის მთავარი თემა გახლავთ ქართულ – ოსური კონფლიქტის გადაწყვეტა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური პარტიების ხედვები. ამ შეხვედრის ორგანიზებაში დაგვეხმარა საქართველოში არსებული ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა და მისი დირექტორი ქალბატონი ია თიკანაძე. მისი უშუალო მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა შეხვედრის ორგანიზება.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც ესწრებიან დღევანდელ შეხვედრას. მინდა ავღნიშნო, რომ შეხვედრის მომზადებისას ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ამ პარტიების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები, რესპუბლიკური პარტია, მრეწველები, ლეიბორისტული პარტია, კონსერვატორები და ტრადიციონალისტები) ლიდერებთან და წარმომადგენლებთან, რომლებმაც ინტერესი გამოიჩინეს შეხვედრის თემასთან დაკავშირებით.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) მოვლენები საკმაოდ დინამიურად ვითარდებოდა. ჩვენთვის ცნობილია რამოდენიმე ინიციატივა, რომელიც გააჟღერა ქართულმა მხარემ. ასევე სულ რამოდენიმე დღის წინ შემხვედრი სამშვიდობო ინიციატივა ქართულ – ოსური კონფლიქტის მოგვარებისა შემოგვთავაზა ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) დე – ფაქტო პრეზიდენტმა – ედუარდ კოკოითმა. რა თქმა უნდა, ასეთი ინიციატივები, როგორც ერთი, ისევე მეორე მხრიდან, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პარალელურად ამისა, რეგიონში მიმდინარეობდა და სამწუხაროდ დღესაც ადგილი აქვს მოვლენებს, რომლებიც პოზიტიურ ფონს ვერ ქმნიან იმისთვის, რომ სამშვიდობო ინიციატივები რეალურად განხორციელდეს.

იმედია დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ ყოველივე ამაზე ვისაუბრებთ ღიად და კონსტრუქციულად. ასევე იმედს გამოვთქვამ, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა იქნება ერთი პატარა, მაგრამ წინგადადგმული ნაბიჯი იმ გზაზე, რომელიც აუცილებლად დასრულდება ქართულ – ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოლაპარაკებით.

ია თიკანაძე

საქართველოში ფრიდრიხ ებერტის
ფონდის წარმომადგენლობის დირექტორი

მოგესალმებით. ასეთი შეხვედრები ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან არცთუ ისე ხშირია. ჩვენი ორგანიზაცია გახლავთ პოლიტიკურ – საზოგადოებრივი ფონდი, რომელიც 1994 წლიდან საქმიანობს საქართველოში. ჩვენ ფონდს ჰყავს თავისი თრადიციული პარტნიორები სხვა ქვეყნებში, ეს გახლავთ პროფკავშირები და მემარცხენე ცენტრისტული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციები. როდესაც საქართველოში გაიხსნა ჩვენი წარმომადგენლობა გადავწყვიტეთ, რომ არ მიგვემართა ასეთი დაყოფისკენ, ვინაიდან ძნელი იყო იმის გარკვევა, თუ ვინ რომელ პლატფორმაზე იდგა და ვის რომელი პროგრამა გააჩნდა. მეტწილად ყველაფერი ცალკეულ პიროვნებებზე იყო დამოკიდებული. მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ და დავიწყეთ თანამშრომლობა კონკრეტულ პიროვნებებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ შორის სამთავრობო სტრუქტურებს.

ჩვენგან განსხვავებული სტილი გააჩნიათ სხვა გერმანულ ფონდებს, რომლებიც თითქმის ორი წელია რაც საქართველოში არიან. ჩვენი ერთ – ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახლავთ ხელი შევუწყოთ კონფლიქტის დარეგულირებას და ურთიერთობების აღდგენას აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში. ჩვენი პარტნიორები მეტწილად არიან, როგორც ავღნიშნე, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, ასევე სამთავრობო სტრუქტურები, ანუ ის ხალხი, რომლებიც ყველაზე ხშირად მუშაობენ ამ თემებზე. სამწუხაროა რომ საზოგადოებისათვის უცნობია პოლიტიკური პარტიების გარკვეული მწყობრი კონცეფცია, ან მიდგომა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, კონკრეტულ შემთხვევაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში.

რასაკვირველია არსებობს ცალკეული კომენტარები, ცალკეული პიროვნებების გამონათქვამები, მაგრამ უცნობია ზოგადად პარტიების პოზიციები. ასე რომ საზოგადოებისთვის, როგორც თბილისში ისე ცხინვალში, მეტად საინტერესო იქნება დღევანდელი შეხვედრის შედეგები. ვიმედოვნებ, რომ მალე ისინი ამ პარტიების ამომრჩევლები გახდებიან.

დღეს საინტერესო საუბარი გვექნება, განსაკუთრებით ედუარდ კოკოითის მიერ გამოთქმული წინადადების ფონზე. იმედია, რომ ეს არის რამე ყურადღების მოდუნებისან დროის გაწელვის მცდელობა და არის ნამდვილად სამშვიდობო წინადადება, რაზეც ალბათ გვექნება კიდევაც საუბარი.

ჩვენი თხოვნა იყო, რომ დღევანდელ შეხვედრაზე პარტიებს წარმოედგინათ არა ხელისუფლების პოზიციის კრიტიკა, არამედ წარმოედგინათ მათეული სამოქმედო ხედვა ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში და ამ თვალსაზრისით რა იქნებოდა მათი პირველი ნაბიჯი... მეტად მადლობელი ვიქნებით, თუ მოხდება ამ მოთხოვნის გათვალისწინება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ შესაძლებლობისთვის.

პოლიტიკური პარტიები
წარმომადგენელთა გამოსვლები

ირაკლი ქავთარაძე

ნაციონალური მოძრაობის საერთაშორისო
ურთიერთობათა მდივანი

სამშვიდობო ინიციატივები, რაც გაჟღერებული იყო საქართველოს და პრემიერმინისტრის მხრიდან, ბოლო პეროიდში საკმაოდ ინტენსიურად შუქდებოდა და წარმოადგენს იმ ხედვას, რომელიც ჩვენს პარტიას აუცილებლად მიაჩნაია ამ კონფლიქტის დარეგულირებისათვის. მე მინდა გადმოგცეთ ჩვენი კონკრეტული ხედვები, რაც შეიძლება ნამდვილად არ იყოს ახალი, მაგრამ შეიცავენ იმ მესიჯებსა და მოსაზრებებს, რაც ჩვენ პრიორიტეტულად მიგვაჩნია.

ჩვენ მზად ვართ სამხრეთ ოსეთს შევთავაზოთ ფართო ავტონომიის სტატუსი. ასევე ავღნიშნავ იმას, რომ ეს სტატუსი მათ უფრო მეტ უფლებებს მიანიჭებს, ვიდრე, მაგალითად ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რსპუბლიკას გააჩნია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. კერძოდ, ცხინვალის რეგიონს უნდა გააჩნდეს ავტონომიის კონსტიტუციური გარანტია, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი შტოსა და პარლამენტის თავისუფალი და პირდაპირი არჩევის უფლებით განისაზღვრება. ცხინვალის რეგიონის პარლამენტი განახორციელებს კონტროლს კულტურის, განათლების, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის, საზოგადოებრივი წესრიგის, ადგილობრივი თვითმმართველობის და გარემოს დაცვის საკითხებზე ამავე დროს ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას სახელმწიფო სტრუქტურებში,

საქართველოს პარლამენტში, სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში ეყოლებათ წარმომადგენლები. ეს არის ჩვენი ხედვები, რაც უნდა შევთავაზოთ კონფლიქტის მეორე მხარეს. ოსურ ენას უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი, რასაც განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები შეუწყობს ხელს. ასევე სხვადასხვა დღესასწაულებისა და ღონისძიებების მეშვეობით განმტკიცებული იქნება ოსების კულტურული და ეთნიკური მემკვიდრეობა.

ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ სამხრეთ ოსეთისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეის შეთავაზებას და რუსეთის საზღვრის გადაკვეთის პროცედურის (აქ ადგილობრივი მოსახლეობა მოისაზრება) გამარტივებას. ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში როკის გვირაბზე ერთობლივი კონტროლის დამყარების შემდეგ, შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ინტერესების განხორციელება. მოგეხსენებათ, რომ ერგნეთის ბაზრობა, რომელიც კონტრაბანდის მთავარი ბუდე იყო, შესაძლოა როკის გვირაბის გაკონტროლების შემთხვევაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის კუთხით აღდგეს. ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობისა და რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად აუცილებლად უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი პირობები, რაც მოსახლეობას სტაბილური სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს. ამასთან ერთად შესაძლებელი გახდება საქართველოში ჩადებული ინვენსტიციების მნიშვნელოვანი ნაწილის და ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობების მიმართვა რეგიონის განვთარებისათვის.

საქართველოს პარლამენტის მიერ უნდა იქნას მიღებული რესტიტუციის კანონი. სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გამოყოს სპეციალური თანხები რეგიონის განვითარებისათვის, რასაც დაემატება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ განხორციელებული პროექტები. ეს რეგიონს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის აუცილებელ პირობებს შეუქმნის.

რაც შეეხება პენსიებს, ჩვენ მზად ვართ არსებული საპენსიო დავალიანება, რომელიც დღევანდელ განაკვთზე ნაკლები არ იქნება, სრულად დავფაროთ. ჩვენი ვარაუდით, პენსიონერების რეგისტრაცია და პირველი პენსიების გაცემა უკვე 2006 წლისათვის უნდა დაიწყოს, რაც ნოღაიდელის განცხადებაშიც იყოს ასახული.

ევროკავშირის, რუსეთისა და აშშ-ს დახმარებით ჩვენ ვაპირებთ საქართველო-სამხრეთ ოსეთის რეაბილიტაციის ფონდის შექმნას, რომელიც ფინანსურად დაეხმარება იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების განხორციელებას თავის საცხოვრებელ ადგილებში, ჩვენი ხედვით, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი ქმედებები:

- ✓ მთავრობათაშორისი მაკოორდინირებელი ჯგუფის შეხვედრებისათვის უფრო რეგულარული ხასიათის მიცემა;

- ✓ რეგიონში დემილიტარიზაციის პროცესის დაწყება, რომელიც საკმაოდ აქტიურად იყო გაJღერებული იგივე კოკოითის შემოთავაზებაში;

- ✓ აქტიური მოლაპარაკების წარმოება რუსეთთან;

- ✓ რეგულარული თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირთან, ეუთოსა და ევროსაბჭოსთან და საჭიროებათა შეფასების პროგრამის შემუშავება.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა და პარტნიორმა ქვეყნებმა საჯაროდ უნდა დაუჭირონ მხარი I გივე რესტუტიციის კანონს და კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებას. ამ დროისათვის უკვე უდა დაწყებულიყო ზონაში მდებარე სოფლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ზამთრის სეზონისათვის და მათი სურსათით მოგვარება, სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა. ჩვენ იგივე დახმარება უნდა შევთავაზოთ ოსურ სოფლებსაც, რაც კეთილ ნებად იქნა აღქმული.

2006 წელს ჩვენ შევეცდებით ოსურ მხარესთან გავმართოთ მოლაპარაკებები ახალი ფორმატით, მოვაწყოთ ქართული და ოსური არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების არაფორმალური თუ ფორმალური შეხვედრები. უნდა განხორციელდეს სამთავრობო ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს ოფიციალური პირების ურთიერთობების გააქტიურებას ოს კოლეგებთან. დაგეგმილია სპეციალური ერთობლივი მაკონტროლებელი კომისიის შექმნა, რომლის ეფექტური ფუნქციონირება ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობას, წესრიგის გამყარებას, ნდობის განმტკიცებას, ქონებრივ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას; მოსახლეობის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას; პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივ მუშაობასა და საზღვრების მონიტორინგს; ერთობლივი ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო და კულტუული ღონისძიებების ორგანიზებას.

აქვე უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მრდიის როლი, რაც ასევე მნიშვნელოვანია ამ პროცესების მსვლელობისას. კერძოდ, მათი ხელშეწყობით გამართული უნდა იყოს სხვადასხვა სახის თოქ-შოუები, ტელე-ხიდები, ინტერაქტიული და ღია დისკუსიები სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან, რაც ხელს შეუწყობს ნდობის (ამ კონფლქტის გადაწყვეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი) გაღრმავებას.

ამ რეალობის გათვალისწინებით, ეს ინიციატივა ითვალისწინებს კონფლიქტის მოგვარების გარდამავალ სამწლიან პერიოდს. ამ პერიოდში უნდა შეიქმნას ქართულ-ოსური შერეული პოლიციის ჯგუფები, რომლებიც სამოქალაქო წესრიგს დაამყარებენ და თავისუფალ გადაადგილებას უზრუნველყოფენ. აუცილებელია ჩამოყალიბდეს საკმაოდ გამართული ინფრასტრუქტურა. უნდა მოწესრიგდეს კონფლიქტის ზონიდან დანარჩენ საქართველოზე გამავალი გზები, რომ მოსახლეობას ჰქონდეს ადვილად გადაადგილებისა და კონტაქტის საშუალება დანარჩენ საქართველოსთან.

ყველას კარგად გვესმის, რომ აშშ-სა და რუსეთის კონსტრუქციული პარტნიორობის გარეშე თითქმის შეუძლებელია ზემოთაღნიშნული

ღონისძიებების გატარება. ჩვენ ვცდილობთ მათთან მოლაპარაკებებზე მაქსიმუმის მიღწევას, რათა ახალი ფორმატის საშუალებით მოხდეს უფრო განახლებული კონსტრუქციული და ქმედითი ღონისძიებების გატარება. საერთაშორისო ინსტიტუტებმა უფრო აქტიური და თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულონ და საჯაროდ დააფიქსირონ მთავრობის მხრიდან გაჟღერებული სამშვიდობო პროგრამის მხარდაჭერა. საერთაშორისო თანამეგობრობამ უკვე საკმაოდ დიდი ნდობა გამოუცხადა ამ გეგმას, რაზეც სამხრეთ ოსეთის არსებული ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები მეტყველებს.

მართლაც, დანახულია კონსტრუქციული ელემენტები შემოთავაზებულ პროგრამაში და ვფიქრობ, რომ ამ კუთხით მუშაობის გაგრძელება უფრო ინტენსიურად მოხდება. კონკრეტულად ვადებთან და თარიღებთან დაკავშირებით იმედს გამოვთქვამთ, რომ 2006 წელს ადგილი ექნება უკვე გარკვეულ ძვრებს, რაც კონფლიქტს გაყინული მდგომარეობიდან გამოიყვანს, ორ მხარეს უფრო დააახლოვებს და ნდობას აღადგენს.

ფიქრია ჩიხრაძე

ახალი მემარჯვენეების პარტიის ლიდერი

ძალიან მნიშვნელოვანი თემა გახლავთ ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ე.წ. გაყინული კონფლიქტების მოგვარება. თუმცაღა, უნდა ითქვას ალბათ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რომ თითოეული ჩვენგანი, თითოეული პოლიტიკური ძალა გასული წლის ივლისი-აგვისტოს მოვლენების შემდგომ მაინც აღმოვჩნდით სხვა რეალობაში. და აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ სხვა ათვლის წერტილები გაჩნდა ჩვენს მიმართებაში ცხინვალის რეგიონთან და ამ კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

გარკვეული კითხვარი იყო შემოთავაზებული შეხვედრის ორგანიზატორთა მიერ და ჩვენ ვეცადეთ, რომ გავყოლოდით ამ კითხვარს, რადგან მოიცავს სწორედ იმ პრობლემების ჩამონათვალს, რომლებიც ზედპირზე – წინა პლანზე დევს. ამ პრობლემების წინ წამოწევის და მათთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრებების ჩამოყალიბების გარეშე, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელი იქნება, რომ ვიმსჯელოთ ფართომასშტაბიან დარეგულირებაზე. თუმცაღა, მე მაინც წინა პლანზე გადმოვიტანდი შეკითხვას, რომელიც არის ჩამოყალიბებული მეხუთე პუნქტში – არის თუ არა ძალისმიერი გზა პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზა? და სწორედ იქედან გამომდინარე, რითაც დავიწყე. დღეს მე მგონი მთავარი პრობლემა ცხინვალის რეგიონში არსებულ კონფლიქტთან მიმართებაში გახლავთ ის, რომ საქართველოს სახელმწიფომ მკაფიოდ იცოდეს, თავისთვის – როგორც სახელმწიფომ და ხელისუფლებამ, საერთაშორისო გარანტორებისათვის, ასევე ჩვენი ცხინვალელი, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები თანამოქალაქეების მიმართ, თუ რა გზით ვაპირებთ ჩვენ კონფლიქტის მოგვარებას.

ეს არის მკაფიოდ მშვიდობიანი გზა, რომლის თაობაზეც ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, მათ შორის საერთაშორისო ტრიბუნიდან, თუ ეს არის პერიოდული ამოვარდნები არასამშვიდობო მეთოდებისა? მე ვფიქრობ, იმ შემთხვევაში, თუ ამ ტიპის მკაფიო პასუხი არ იქნა გაცემული, მაშინ ყველა სხვა დანარჩენი საკითხი გადადის მეორე პლანზე და გარკვეულწილად ემსგავსება წყლის ნაყვას, რამაც შეიძლება ბევრად უფრო გაართულოს ეს კონფლიქტი, წინა წლებთან შედარებით, როდესაც მართლაც აბსოლუტური გამყინვარება შეინიშნებოდა. გარდა იმ გარემოებისა, რომ მოსახლეობაში ორივე მხარეს გააჩნდა თავისი ნებით აწყობილი ურთიერთობები, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი იყო.

ამ შემთხვევაში მე ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის ხედვა გახლავთ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზა. რა თქმა უნდა, არსებობს ძალისმიერი გადაწყვეტის გზაც, მაგრამ თუ ჩვენ კონფლიქტის მოგვარებაზე ვსაუბრობთ, ძალისმიერმა გზამ შეიძლება მოაგვაროს ერთი პრობლემა, მაგალითად კარგად გათვლილი ოპერაციის შემთხვევაში, მოიხსნას როკის გვირაბის კონტროლი, ან ვთქვათ ბანდფორმირებების არსებობის პრობლემა, რაზედაც მმართველი პარტიის წარმომადგენელი ბრძანებდა. თუმცაღა ეს ვერ იქნება კონფლიქტის გადაწყვეტის გზა, რადგანაც კონფლიქტი მოსახლეობას შორის დარჩება კონფლიქტად, შესაძლოა უფრო გაღვივებული ფორმითაც და მაინც იჩენს თავს ისე, როგორც არაერთხელ იჩინა თავი განვლილი პერიოდის განმავლობაში.

აქედან გამომდინარე, მე მგონი, ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა გახლავთ, ერთი წლის წინანდელი მოვლენების გათვალისწინებით, ჩვენს მკაფიო გადაწყვეტილებაში ყველა მხარის დარწმუნება. უპირველს ყოვლისა, ჩვენს თავში ჩამოვაყალიბოთ ეს გადაწყვეტილება, როგორც ძალიან მყარი არგუმენტირებული და საფუძვლიანი და მერე მკაფიო გარანტიები მივცეთ ამის თაობაზე საერთაშორისო საზოგადოებას და კონფლიქტების მეორე მხარეს არსებულ ჩვენს მოქალაქეებს, ამის გარეშე, კიდევ ვიმეორებ, ყველა სხვა საკითხზე ლაპარაკი ნამდვილად წარმოუდგენლად მეჩვენება.

შემდგომი კითხვა გახლდათ – საქართველოს ხელისუფლების ქართულ – ოსური კონფლიქტის მოგვარების რომელი სამშვიდობო ინიციატივა არის თქვენთვის მისაღები? ამაზე მე არ ვისაუბრებ, იმიტომ რომ ერთი ინიციატივა გახლავთ პრეზიდენტის ინიციატივა, რომლსაც ემყარებოდა პემიერ – მინისტრის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა. მათში პრინციპული სხვაობა არ არის.

რაც შეეხება კონფლიქტის შეფასებას, ჩვენი ხედვით ეს კონფლიქტი შეფასებულია, როგორც ეთნოპოლიტიკური. მიგვაჩნია, რომ საწყისი ამ კონფლიქტისა გახლდათ პოლიტიკური საფუძველი, მაგრამ შემდგომში, რადგანაც მეორე მხარეს წარმოადგენდა ეთნიკურად ოსი მოსახლეობა, რა თქმა უნდა ამან შეიძინა ეთნიკური ნიშნებიც და ამიტომ ვაფასებთ კონფლიქტს, როგორც ეთნო – კონფლიქტურს. აქედან გამომდინარე, მოგვარების გზებიც, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს, იმიტომ რომ ეთნიკურმა ნიშანმა ამ კონფლიქტში ძალიან მძიმე რეალობა შემოიტანა და პრობლემები შექმნა დაძლევის თვალსაზრისით.

რაც შეეხება სახელმწიფოს მოწყობის ფორმას, მე პირდაპირ და გახსნილად შემიძლია ვთქვა ყველანაირი, ასე ვთქვათ, კეკლუცობის გარეშე, რომ ჩვენი პოლიტიკური ძალა, დღევანდელი დღის ჩათვლითაც განაგრძობს მუშაობას და ფიქრს ამასთან დაკავშირებით. ჩვენ გასულ კვირასაც გვქონდა კიდევ ერთი შეხვედრა ერთ – ერთი კონცეფციის ავტორთან, მანამდე ქალბატონ მაია ცაბოშვილთანაც გვქონდა ცალკე შეხვედრა. არაერთი შეხვედრა გამართულა ამ მიმართებით. ჩვენ ვიხრებით უნიტარული სახელმწიფოსაკენ ავტონომიების გათვალისწინებით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოიძებნოს რაღაც საწყისი წერტილი დიალოგის დაწყებისა, რაც სტატუსის ჩამოყალიბებას უკვე ორმხრივ შეთანხმების საგნად აქცევს. დღეს უკვე ორმხრივი ინიციატივა არსებობს: საქართველოს ხელისუფლებამ წარადგინა ინიციატივა, ასევე ცნობილი გახდა კოკოითის მიერ გამოთქმული ინიციატივა.

რა თქმა უნდა, ქართული მხარე დიდი ეჭვით უყურებს კოკოითის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ იქ არის ლაპარაკი ორ სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებაზე. ქართული მხარე მათ სთავაზობს, რომ ლაპარაკი იყოს ერთი სახელმწიფოს, ერთი ტერიტორიის შიგნით არსებული კონფლიქტის მოგვარებაზე. ეს დაუძლეველი პრობლემა არ არის, მადლობა ღმერთს საერთაშორისო სამართალი არსებობს და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში წყდება ყველა საკითხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაინც მოლაპარაკებების ხანგრძლივი პროცესი ამ ორ მხარეს შორის სტატუსთან დაკავშირებით უნდა დაიწყოს ალბათ არა სუფთა ფურცლიდან, ერთგვარი შეთანხმების საფუძველზე. შესაძლებელია ერთი ან მეორე მხარის მიერ ხედვის წარმოჩენა, თუ როგორ წარმოუდგენია თანაარსებობა, თანაცხოვრება ერთი სახელმწიფოს შიგნით.

რაც შეეხება ქართულ – ოსური კონფლიქტის დარეგულირების დროის ჩარჩოებს, მინდა ავღნიშნო, რომ როცა კონფლიქტი დაიწყო, არავინ იფიქრებდა იმაზე, რომ იგი ამდენ ხანს გაგრძელდებოდა და ასე უპერსპექტივობაში იქნებოდა გამოკიდებული. სამწუხაროდ ეს ასე მოხდა. მე მგონია და ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის ხედვა არის, რომ თუ ქართული სახელმწიფოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნება იარსებებს, თუ ქართული სახელმწიფო იქნება.

აქტიურად ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციებთან დიალოგში, თუ საერთაშორისო გარანტორების ინსტიტუტს გავაჩენთ ამ კონფლიქტთან მიმართებაში და ჩვენ შესაბამის პასუხისმგებლობას ავიღებთ ორმხრივად ამ საერთაშორისო გარანტორების წინაშე, ვფიქრობ შესაძლებელია ამ შემთხვევაში ვივარაუდოთ დარეგულირების მინიმალური ვადა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია ,,იბერ – ირონის" მიერ არის შემოთავაზებული და 3 – 5 წლის ფარგლებში შეიძლება იყოს მიღწევადი შესამჩნევი ცვლილებები და ძვრები, მაგრამ თუ ჩვენი პოლიტიკა იქნება ისეთი, როგორიც წლების განმავლობაში იყო – აბსოლუტურად მიშვებული და უყურადღებო, ხოლო ახალი ხელისუფლების პირობებში – ძალიან აქტიური და ცხელი, მაგრამ არათანმიმდევრული, როცა ხდება სამშვიდობო მეთოდების ხშირი ცვლა არასამშვიდობო მეთოდებით, თუნდაც ბოლო ფაქტი, რაც ჰოსპიტალის გადატანას (უკავშირდება გორის

რაიონში), რაც ქვეტექსტებით ომის პროპაგანდის მაუწყებელი და მანიშნებელია, ამგვარი ქვეტექსტების ფონზე სამშვიდობო ინიციატივა მაინცდამაინც სამშვიდობოდ აღარ ჟღერს და ყოველ შემთხვევაში, დამაჟერებელი არ არის. აქედან გამომდინარე, თუკი არათანმიმდევრული პოლიტიკა გაგრძელდება, მაშინ რა თქმა უნდა, შესაძლოა კონფლიქტის მოგვარება უსასრულოდ გაიწელოს და ძალიან ძნელი გახდება იმის განსაზღვრა, თუ როდის შეიძლება ამ კონფლიქტის რეალური მოგვარება.

სოციალურ – ეკონომიკური საკითხების მოგვარება არის ძალიან მნიშვნელოვანი და ყოველდღიური საქმე. აქ ძალიან გაჭირდება კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე საუბარი. მე კრიტიკით არ ვამბობ, მაგრამ მმართველი პარტიის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში, სადაც ძალიან კარგი იდეებია წარმოდგენილი, თუ რიგი საკითხები არ იქნება გადაწყვეტილი, ეს იდეები მხოლოდ იდეებად დარჩება. თუნდაც იმიტომ, რომ სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით სერიოზული რეაბილიტაცია სჭირდება მთელს საქართველოში.

მე ძალიან მნიშვნელოვან გარემოებად მიმაჩნია ჩვენმა ოსმა თანამოქალაქეებმა დაინახონ, რომ საქართველოში ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან მზარდი ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს. თუნდაც იგივე, პენსიებთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ მყარი საპენსიო უზრუნველყოფა და ეს პროცესი კიდევ უფრო პროგრესირებადია, რათა მათ გარკვეული ინტერესი გაუჩნდეთ ჩვენს მიმართ.

დღეს ჩვენ რაც არ უნდა შევთავაზოთ, იმ თვალსაზრისით, რომ დიდ გარანტიებს შევქმნით რეგიონის სოციალურ – ეკონომიკური განვითარებისა, მანამ სანამ არაკონფლიქტურ ტერიტორიებზე ჩვენ გარანტიები არ გვაქვს შექმნილი, ძალიან ძნელი იქნება ამის დაჯერება და გაკეთება კონფლიქტის რეგიონში. მახსოვს ის პერიოდი, როდესაც პირველად ქართული ვალუტა შემოვიდა ბრუნვაში, ეს ვალუტა აღმოჩნდა საკმაოდ მყარი. პირველად დაიწყო კრიმინოგენული სიტუაციის მოწესრიგება, პირველად გაჩნდა ბიუჯეტი და ეს ბიუჯეტი ივსებოდა – მე ვგულიხმობ 1996 – 1997 წლებს. მაშინ ჩვენი ოსი მოსახლეობის ინტერესი გაზრდილი იყო საქართველოს მიმართ. და დიდი ინტერესი არსებობდა იგივე ლარის მიმართ, რომელიც გადაიქცა მიმოქცევის საშუალებად, მაგრამ როგორც კი ერთ პერიოდში ჩვენი ვალუტის კურსი შეირყა, არა დიდხანს, მაგრამ რაღაც პერიოდით, მაშინ ვისაც რეგიონში უწევდა მოგზაურობა და გარკვეული ურთიერთობები ჰქონდა, დაინახა რომ უნდობლობამ იჩინა თავი. ზოგადად ყველა მგრძნობიარეა ამ ეკონომიკურ პროცესებთან მიმართებაში, და განსაკუთრებით ის მხარე, რომელიც აქეთ იყურება გაათმაგებული ინტერესით. ჩვენ სოციალურ – ეკონომიკური თვალსაზრისით, რათქმა უნდა, უამრავი რამ შეგვიძლია შევთავაზოთ ოსურ მხარეს. დღეისათვის მათთვის მნიშვნელოვანია კანონი რესტიტუციის შესახებ, რაზეც ყველა მხარე ლაპარაკობს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიც. თუმცაღა ეს ძალიან რთული საკითხია და ამას სჭირდება ძალიან სერიოზული მუშაობა თუნდაც სტატისტიკური თვალსაზრისით, იმიტომ, რომ მოწესრიგებული სტატისტიკა ამ მიმართულებით ჯერჯერობით საქართველოში ნამდვილად არ არსებობს.

როცა ეკონომიკურ გარანტიებზე ვლაპარაკობთ, სპეციალური ეკონომიკური ზონა არის განხილვის ერთ-ერთი შესაძლო საკითხი. ჩვენი პოლიტიკრი ორგანიზაცია, როდესაც აჭარის თავისუფალ ეკონომიკური გამოცხადების საკითხი იხილებოდა, ამის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგანაც ეს არის საკითხი, რომელსაც პოლიტიკური და ეკონომიკური მხარეები გააჩნია. არ შეიძლება ამ ორი საკითხის ერთმანეთისაგან მოწყვეტა, აუცილებლად უნდა იქნეს დადებული ეკონომიკური გაანგარიშებები, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე. აჭარის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა ეთნო – კონფლიქტს და შესაბამისად იყო ამგვარი მოსაზრებები, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას შესაძლოა დამანგრეველი გავლენა ჰქონოდა დანარჩენი საქართველოს ეკონომიკაზე. ცხინალის რეგიონთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, არსებობს პოლიტიკური მხარე. პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი აქ ბევრად უფრო წინა პლანზე იქნება წამოწეული, მაგრამ არ უნდა იქნას გამორიცხული და დავიწყებული ეკონომიკური მხარეც. ესეც, მე ვფიქრობ, ორმხრივი მოლაპარაკების საკითხია და ცალმხრივად ამის შეთავაზება არაფერს არ მოგვცემს.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობას და ჩართვას კონფლიქტის დარეგულირებაში, მე ვთქვი კიდეც, რომ გარკვეული დოზით საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე არიან ჩართულნი, მაგრამ ალბათ, საჭიროა მეტი დაინტერესება, იგივე საერთაშორისო გარანტორების ინსტიტუტის შექმნის თვალსაზრისით, რომლებიც, შესაძლოა, უბრალოდ სტატისტების და არბიტრის კი არა, არამედ აქტიური მოთამაშეების როლს შეასრულებენ ამ კონფლიქტის მოგვარებაში. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენს სახელმწიფოსაც ვიღაცის წინაშე უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა აღებული იმ ხედვაზე, იმ ნაბიჯების გადადგმაზე, რომელიც ასე ვთქვათ, დეკლარაციულად გამოითქმევა, მაგრამ შემდგომ შეიძლება ცხოვრებაში აღარ განხორციელდეს.

პაატა ზაქარეიშვილი

რესპუბლიკური პარტიის
ეროვნული კომირტეტის წევრი

მოგესალმებით, ძალიან საინტერესო და საჭირო შეხვედრაა, და კარგი იქნება, თუ ასეთი შეხვედრები უფრო ხშირად ჩატარდება. მე წარმოვადგენ რესპუბლიკურ პარტიას. გარდა ამისა, ამ საკითხის მიმართ ჩემი პირადი გამოცდილებაც გამაჩნია. კონკრეტული პროგრამული სახით პარტიას ჯერჯერობით არ აქვს ჩამოყალიბებული თავისი დამოკიდებულება ქართულ – ოსური კონფლიქტის მიმართ, განსხვავებით ქართულ – აფხაზურისა, რომელზეც რესპუბლიკურ პარტიას დიდი შრომა აქვს გაწეული. ქართულ – ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით გაგვაჩნია გარკვეული ხედვები და ამ ხედვებზე მინდა მოგახსენოთ,. ბუნებრივია, ჩვენი მონაწილეობა ამ შეხვედრებში საინტერესოა იმით, თუ რამდენად აღსაქმელი და მისაღებია ჩვენი ხედვები და სხვა

პოლიტიკური პარტიების აზრებიც ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ასეთი შეხვედრები ყოველთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.

მთავარი პოზიცია, რაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა გათვალისწინებული იყოს, როცა ამა თუ იმ სტრატეგიაზე იქნება საუბარი, მკაფიო მიზნის არსებობაა. მიზანი, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. თუმცა, მხოლოდ მიზანზე ლაპარაკით შორს ვერ წავალთ. არსებულ ეტაპზე უფრო სტრატეგიებზე უნდა იყოს საუბარი, ანუ რა სტრატეგიით ვაპირებთ ამ მიზნის მიღწევას. სტრატეგიის კონკრეტულ ვადებზე მიბმას კატეგორიულად გამოვრიცხავ. ვადებზე მიბმა არის ის, რაც საბოლოო ჯამში ამართლებს ანდაზას – მოჩქარეს მოუგვიანდესო. თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ პროცესი არ მივაბათ დროის ჩარჩოებს, ვადებს ან არჩევნებს, არ მივცემთ პარტიისათვის დაგეგმილი ღონისძიებების სახეს, არამედ მართლა ჩავთვლით, რომ ეს არის საშვილიშვილო საქმე და გვინდა, ჩვენს შვილებს დავუტოვოთ უკვე მოგვარებული საკითხი, მაშინ მართლა შეიძლება გარკვეული სერიოზული წარმატებების მიღწევა. ანუ პროცესი ნაბიჯ – ნაბიჯ უნდა განხორციელდეს და ყოველ ნაბიჯში უნდა იქნეს გათვალისწინებული რისკები. ბუნებრივია ყველა რისკის მოსპობა შეუძლებელია. კონკრეტული ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ყოველთვის საჭირო უნდა იყოს კარგად შესწავლა იმისა, თუ რა შედეგი გამოიღო ამა თუ იმ ნაბიჯმა და მხოლოდ შემდეგ დავგეგმოთ მომდევნო ნაბიჯი.

მიგვაჩნია, რომ ჯერ - ჯერობით ნაადრევია საუბარი პოლიტიკურ სტატუსზე, განსხვავებით აფხაზეთის კონფლიქტისგან, სადაც, სამწუხაროდ, სტატუსზე საუბარი უკვე დროულია, ქართულ – ოსურ კონფლიქტთან მიმართებაში, სწორედ რომ სტატუსზე რაც შეიძლება გვიან უნდა იყოს ლაპარაკი. ძალიან მოსაწონია, რომ თვითონ ოსური მხარეც კი, კოკოითის განცხადებით, სტატუსს უკან სწევს. ქართულ მხარეს, კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში გააჩია უამრავი ცალმხრივი ნაბიჯის გადადგმის საშუალება. მათი რეალიზაციის შემთხვევაში უფრო მეტად შეიძლება ოსური მოსახლეობის გულის მოგება და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მეგობრობისა და ურთიერთობის აღდგენა, რისი პოტენციალიც ნამდვილად არსებობს ოსურ საზოგადოებაში. კარგი იქნება, თუ ისეთ ნაბიჯს გადავდგამთ, რომელიც, პირველ რიგში მხოლოდ ქართული მხარის ინიციატივებზე იქნება დამოკიდებული. ამით საქართველო, როგორც სახელმწიფო, უფრო მეტ პასუხისმგებლობას აიღებდა თავის თავზე.

პირველ რიგში უნდა შეფასდეს 1989 – 1992 წლების მოვლენები. ჩემი აზრით, ეს იყო სამარცხვინო მოვლენები ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე. მაშინ, უდიდესი შეცდომები დაუშვა ქართულმა სახელმწიფომ, მათ შორის, დანაშაულებრივი შეცდომებიც. თუ ეს მოვლენები სამართლიანად შეფასდება, ამით გარკვეულწილად დავაკმაყოფილებთ ოსური მოსახლეობის მოლოდინებს. ამით ისინი მიხვდებიან, რომ ქართული საზოგადოება იცვლება, ტრიალდება მათ მიმართ და აღარ არის დამშვები იმ განუკითხაობისა, რაც 1989 – 1992 წლებში მოხდა. ბუნებრივია, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება 89 – 92 წლებისა და შარშანდელი, ივლის – აგვისტოს მოვლენები და არ შეიძლება მათი შედარება, მიუხედავად ამისა, აუცილებელია, შეფასდეს შარშანდელი მოვლენებიც. ამით საქართველოს ახალ ხელისუფლებას საშუალება ეძლევა

გამოასწოროს ის, რაც მოხდა და ოსურ მხარესთან იყოს გულახდილი და გულწრფელი. შეცდომების აღიარება არასდროს არ არის სისუსტე. ეს არის სიძლიერე და სიმტკიცე. ოსური საზოგადოება ამას ელოდება და შარშანდელი მოვლენების აღიარებაც შესაბამის რეაქციას მოიპოვებს ოსურ საზოგადოებაში.

შემდეგ, უნდა გადავიდეთ კონკრეტულ ნაბიჯებზე. ეს არის, პირველ რიგში, ისევ და ისევ რესტიტუციის საკითხი. უკვე დიდი ხანია დადგა დრო მიღებულ იქნას კანონი რესტიტუციის შესახებ. კანონპროექტი დიდი ხანია გამზადებულია, იგი გამზადდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ და მიწოდებულია ყველა ინსტანციაში. კონსტიტუცია შევცვალეთ ორ კვირაში, და მე მგონი, პრეზიდენტ სააკაშვილის 2004 წლის მაისის პირობა, რომ მიიღებდა კანონს რესტიტუციის შესახებ (წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ) დროა, შესრულდეს. კანონი, რაც შეიძლება ვიწრო და კონკრეტული უნდა იყოს. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, თითქოს კანონი უნდა იყოს ფართე, მოიცავდეს მთელი საქართველოს უახლეს ისტორიას, სხვადასხვა რეგიონებს და ა. შ. ჩვენ მიგვაჩნია, კონკრეტულ ამ კონტექსტში კანონი უნდა იყოს დაკავშირებული 1989 - 1992 წლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირებთან: ოსებთან, ქართველებთან და ნებისმიერ ადამიანთან, ვინც დაზარალდა და ელის ამ ზარალის ანაზღაურებას. პირველ რიგში, ეს არის, რა თქმა უნდა, ქონებრივი რესტიტუცია და ბუნებრივია, პირველი ნაბიჯები უნდა გადადგას ქართულმა მხარემ, რადგანაც ის სახელმწიფოს წარმოადგენს და სიტუაციას აკონტროლებს. უნდა დაიწყოს ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე ყველა იმ ადამიანის უფლების დაკმაყოფილება, რომელიც დაზარალდა თბილისში, გორში, ქარელში, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, გათვალისწინებულ უნდა იყოს პოზიცია, რომ პოლიტიკური მოგვარების შემდეგ, ეს კანონი უნდა გავრცელდეს ცხინვალის რეგიონზე, ანუ საბოლოოდ უნდა მოიცვას ქართული მოსახლეობაც.

გარდა ამისა, ქართულმა მხარემ უნდა აღიაროს და შესაბამისად, აღმოფხვრას შედეგები იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რაც ჩადენილ იქნა ეთნიკურად ოსი საქართველოს მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც 1989 – 1992 წლებში რეპრესიები განიცადეს. მე ვგულისხმობ სამსახურიდან დათხოვნას, მათ შეურაცხყოფას, ქილიკს პრესაში, მათ წინააღმდეგ ღირსებისა და პატივის შემლახავ გამოსვლებს.

უამრავი ფაქტი არსებობს, როცა ძალიან ბევრი ადამიანი გათავისუფლებულა სამსახურიდან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ოსი ეროვნების იყო. ეს არ არის საყველპურო სიტყვები. არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ ქნედებებს კიდევ უფრო აქეზებდა. სამწუხაროდ, ჩვენმა სახელმწიფომ ვერ გამოიჩინა მეტი სიმტკიცე და ხანდაზმულობის გამო ეს საქმეები გააუქმა. რაც ყოვლად დაუშვებელია. ჩვენს ხელისუფლებას უნდა ეყოს პოლიტიკური ნებისყოფა და სამართლებრივი სითამამე, რათა ეს საქმეები უკან დააბრუნოს სასამართლოებში და ხელახლა განიხილოს.

ასევე აუცილებლად უნდა იქნას გამოძებული ის დანაშაულებები, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა უკვე. 2004 წლის

ზაფხულის ესკალაციის დაწყებამდე მან ხაზგასმით დაგმო გახმაურებული შეირაღებული თავდასხმა სოფელ კეხვთან, ზარის გზაზე, სადაც გაუგონარი სისასტიკით მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ავტობუსში ჩახოცვა. ნებისმიერ კონფლიქტს აქვს საშინელი სურათები, შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი ყოფილი იუგოსლავიიდან და სხვა კონფლიქტებიდან. კეხვის ეპიზოდი არის ალბათ, ერთ – ერთი ყველაზე საშინელი ეპიზოდი ქართულ – ოსური შეიარაღებული დაპირისპირების პერიოდში. ჩვენ უკვე პირობა გვაქვს დადებული, ქართულმა მხარემ, საქართველოს პრეზიდენტის დონეზე, სულ ცოტა ორჯერ (როგორც მე მახსოვს) დაადასტურა, რომ ის მზად არის გამოძიება ბოლომდე მიიყვანოს. ეს ისეთი ნაბიჯებია, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას და პასუხს გამოიწვევს ოსურ საზოგადოებაში. ანუ – ეს არის ის, რასაც ოსური საზოგადოება ელოდება ჩვენგან. და ამის შემდეგ სულ სხვა დონეზე შეიძლება ლაპარაკი დაიწყოს თუნდაც პოლიტიკურ სტატუსზე. სულაც არ არის აუცილებელი ჩრდილოეთ ოსეთის მსგავსი სტატუსი შევთავაზოთ. დარწმუნებული ვართ, რომ ოსური საზოგადოება გაგებით მოეკიდება საქართველოს ფერისცვალებას, თუ საქართველო მათ რეალურად ჩათვლის საკუთარ მოქალაქეებად.

ყველა ეს ნაბიჯი უნდა გადაიდგას მანამ, სანამ შემდეგი არჩევნები ჩატარდება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა ეს უკანონო არჩევნები იქნება. რა თქმა უნდა, ეს იქნება საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამო არჩევნები, მაგრამ პოლიტიკურად ამას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენ კარგად გვახსოვს, აფხაზეთში მიმდინარე არჩევნების დროს რამდენად პრინციპული და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გალის რაიონის მოსახლეობის მონაწილეობა იმ არჩევნებში. ორჯერ ჩატარდა არჩევნები აფხაზეთში და ორჯერვე გალის რაიონმა მოახერხა გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე.

ჩვენ, სამწუხაროდ, ამდაგვარი ბერკეტი დავკარგეთ სამხრეთ ოსეთში, როცა კოკოითი იქნა არჩეული. მაშინ კოკოითი სათუო პირობებში იქნა არჩეული მეორე ტურით, რათა ეგრეთწოდებული პრეზიდენტი გამხდარიყო. მიუხედავად ამისა, ქართულმა პოლიტიკამ და მოსახლეობამ ნაკლები როლი ითამაშა ამაში და შესაბამისად, მათ ვერ მოახერხეს დაეტოვებინათ ჩიბიროვი, რომელიც კანდიდატი იყო და შეეძლო გაემარჯვა, რომ ჰქონოდა ქართული მხარდაჭერა. ყველა ეს ნაბიჯი გადასადგმელია იმისათვის, რათა მზად ვიყოთ ჩვენ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული თუნდაც უკანონო, მაგრამ პოლიტიკურად ჩვენთვის მნიშვნელოვან არჩევნებისათვის. არჩევნების შედეგები გვაჩვენებს ძალიან ბევრ რამეს, ამიტომ ჩვენვის ყოვლად მიუღებელია, ამ შემთხვევაში პოზიცია, თითქოს პოლიტიკურ სტატუსზე უნდა იყოს საუბარი ერთი წლის შემდეგ – საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადებით დაახლოებით 2006 წლის ივლისში. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის, რესპუბლიკური პარტიისათვის პრინციპულად მიუღებელია ეს მოსაზრება.

დიდი შეცდომა იქნება სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ნებისმიერი არჩევნების წინ თუ დავიწყებთ ლაპარაკს სტატუსზე. ჩვენ ამით უცებ გავაუცხოებთ მთელ ოსურ მოსახლეობას საქართველოს მიმართ. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა

პოლიტიკაზე ამ ერთი წლის განმავლობაში როგორმე ჩვენი ინიციატივით არ ვილაპარაკოთ. მაქსიმალურად უნდა განვახორციელოთ ის ღონისძიებები, რაზედაც იყო საუბარი და რასაც ხელისუფლებაც აცხადებს. მას შემდეგ, რაც ჩატარდება არჩევნები, ჩავთვალოთ, რომ ეს არის პირველი ეტაპი აქტიურობისა, შენდგომ შეიძლება ლაპარაკი ახალ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც იქნება დე – ფაქტო, ბუნებრივია არა დე – იურე. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მაინც ხომ ველაპარაკებით კოკოითს. შესაბამისად, ახალ დე – ფაქტო ხელისუფლებასთან ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ ლაპარაკი უკვე პოლიტიკურ სიტუაციაზე. სულ სხვა ვითარება იქნება მაშინ და დარწმუნებული ვარ ჩვენ სულ სხვა პოლიტიკურ სტატუსზე მივაღწევთ შეთანხმებას, ვიდრე დღეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო კოკოითის 13 დეკემბრის ინიციატივების გამოქვეყნება. მიუხედავად ყველა ეჭვისა, რომელიც ჩვენ ყველას დაგვებადა, მაინც უფრო მეტი დადებითი მომენტებია ამ განცხადებაში ვიდრე უარყოფითი. ძალიან მნიშვნელოვანია ოსი მოსახლეობის დამოკიდებილება, რომელიც დღემდე ცხოვრობს საქართველოს იურისდიქციის მქონე ტერიტორიაზე, და რომელთაც დღემდე საქართველოს სახელმწიფოს იმედი აქვს. ეს არის ოსური სოფლები, სადაც არის უამრავი პრობლემა. პირველ რიგში, ეს არის ტიპიური საყოფაცხოვრებო პრობლემები, მაგალითად, მიწის პრობლემები, რაც ყველგან არსებობს. მაგრამ სამწუხაროდ იქ, სადაც ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ხდება ამ საყოფაცხოვრებო და სოციალურ – ეკონომიკური პრობლემების გაზავება ეთნიკური პრობლემებით. ხელისუფლებას უნდა შესწევდეს უნარი ამა თუ იმ ფაქიზ რეგიონში და სიტუაციაში მიოქცეს უფრო ფრთხილად და დახვეწილად. ახალი ხელისუფლების ბრალი არაა, მაგრამ რამდენი ხანია კახეთში, კერძოდ ლაგოდეხში არ არის მოგვარებული ოსური მოსახლეობისათვის მიწის სამართლიანად განაწილების საკითხი. თუ ხარ ქართველი, გაქვს 0,5 ჰა. მიწის ნაკვეთი, თუ ხარ ოსი, გაქვს 0,3 ჰა. რას გქვს ეს? როგორ შეიძლება ამის ატანა ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოშიᲩ თუმცა იმ სოფელში, არაშპერანში ძეგლი გავხსენით, რაც ძალიან კარგია, მაგრამ იმავე სოფელში ოსური მოსახლეობა არის დაზარალებული. არ ვამცირებ ამ მოვლენას – ძეგლის დადგმას, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ამას არ მოჰყვა სერიოზული საქმეები. ეს ცინიკურობის ელფერს შეიძენს და სულ არაა გამორიცხული, რომ ოსებმა ეს ძეგლი თვითონ ჩამოაგდონ, თუ მათ ვერ ნახეს პოლიტიკის გაგრძელება ამ ძეგლის უკან.

ეს ის საკითხებია, რომლებზეც რესპუბლიკურ პარტიას შეუძლია ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან ჩვენ ჩვენი გამოცდილება გაგვაჩნია, სხვა პარტიას თავის გამოცდილება გააჩნია, და ეს ის სფეროა, სადაც ჩვენს შორის, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის განსხვავება დაძლევადია. აქ შეიძლება მართლა მოხდეს გარკვეული თანამშრომლობა.

ეხლა შევეცდები კითხვარში დასმულ კითხვებს გავცე პასუხები:

მიმაჩნია, რომ ეს არის ეთნო – ტერიტორიული კონფლიქტი. არ შეიძლება კონფლიქტების ასე ცალსახად შეფასება, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილი არის ეთნოტერიტორიული, იმიტომ, რომ ჩვენ კონკრეტულ ტერირორიაზე

ეთნიკურობას ვედავებით როგორც აფხაზეთში, ასევე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ანუ ეს მიწა ოსებისაა თუ ქართველებისაა – ასე ისმებოდა საკითხი. ბუნებრივია, კონფლიქტი მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპონენტით არის გაზავებული. ეთნო – ტერიტორიულმა კონტექსტმა გამოიწვია პოლიტიკური, თუმცა ეს საკამათო თემაა.

ჩვენ ვართ პრინციპულად ფედერაციის მომხრეები. ჩვენი პრინციპული დამოკიდებულებაა, რომ საქართველო იყოს ფედერაცია აფხაზეთთან მიმართებაში. თუმცა გამორიცხული არაა, რომ ყოფილმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა გარკვეული ადგილი დაიკავოს საქართველოს ფედერაციულ მოწყობაში,. ჩვენი აზრით, ფედერაცია არის არა მარტო კრიზისიდან გამოსავალი, არამედ დღევანდელი თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის ყველაზე უფრო პერსპექტიული და გამართლებული ფორმა ტერიტორიული მთლიანობისა.

ბუნებრივია, თუ ჩვენ ვადებს არ გამოვეკიდებით, რეალურად, სამ-ხუთ წელიწადში კონფლიქტი ამოწურული იქნება, სადღაც 5 წლის თავზე შეიძლება ჩვენ უკვე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩავატაროთ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. თუ, რა თქმა უნდა, იმ პერიოდისათვის რესპუბლიკურმა პარტიამ თავისი არ გაიტანა და არ გააუქმა საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობა. 5 წელიწადი საკმარისი უნდა იყოს, თუ სწორ ნაბიჯებს გადავდგამთ.

სამხედრო ძალა გამორიცხულია, ძალის გამოყენებით შეიძლება მივაღწიოთ მოკლევადიან წარმატებას და გრძელვადიან კატასტროფულ დამარცხებას. ასე რომ – ყოვლად დაუშვებელია სამხედრო ძალაზე პოლიტიკის აგება.

სოციალურ ეკონომიკურ საკითხებს გადამწყვეტ და პრინციპულ როლს ვანიჭებთ. რაც შეეხება სპეციალურ ეკონომიკურ ზონას, ეს საინტერესო იდეაა. რაც იყო ერგნეთი, ჯობდა იმის გამოკეთება და გამოსწორება, ვიდრე დახურვა, მაგრამ რაც მოხდა - მოხდა. ბუნებრივია, ამ ტიპის ტერიტორია შეიძლება არსებობდეს, შეიძლება სხვა ფორმებიც იყოს მოძებნილი. კოკოითის წინადადებებში არის მოდიფიცირებული ვარიანტი ამისა – თავისუფალი ეკონომიკური ზონა ჩრდილოეთ ოსეთის ალაგირის რაიონიდან მოყოლებული მთელი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიისა და გორის რაიონის ჩათვლით. ეს იმდენად არარეალურია, რომ ამ თემის გარშემო მსჯელობაზე დათანხმება შეიძლება. ვფიქრობ, რომ რუსეთი აშკარად ამის წინააღმდეგი წავა. გამორიცხულია, რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიაში, თანაც ჩრდილოეთ ოსეტისათვის დაუშვას, რაღაც თავისუფალი ეკონომიკური ზონა, როცა მთელი ჩრდილოეთ კავკასია ჩრდილოეთ ოსეთის წინააღმდეგაა მომართული. გასათვალისწინებელია ბევრი გარემოება, მათ შორის ის, რომ ჩრდილოეთ ოსეთი ერთადერთი ქრისტიანული რესპუბლიკაა რეგიონში და მხოლოდ ამ რესპუბლკაზე გადის ორად ორი საავტომობილო ტრანსკავკასიური გზა. ეს სერიოზული საკითხია. აქ შეიძლება რაღაცა ნაღმიც იდოს, მაგრამ ხელაღებით მისი უარყოფა არ ღირს, ისევე, როგორც დათანხმება. ჯობს, ა მ საკითხის განხილვა რუსეთთან ერთად მოხდეს და ყველაფერი კარგად იქნას აწონილი.

როგორც მე ვიცი, რუსეთის კონსტიტუცია პრინციპულად გამორიცხავს ამ საკითხებს და ძალიან დიდი პრობლემები აქვს, მაგალითად კალინგრადში და სხვაგან. ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გამო რუსეთი წავიდეს ასეთ სერიოზულ დათმობაზე.

რაც შეეხება ჩართულობას საერთაშორისო საზოგადოებისა, მიგვაჩნია, რომ მაქსიმალური ფორმით უნდა იყვნენ ჩართული ამერიკელები. ჩვენს პარტიას აქვს კონტაქტები ამერიკელ ექსპერტებთან და ვერ ვიტყოდი, რომ მათ ძალიან დიდი სურვილი ჰქონდეთ, ამ კონფლიქტის მოგვარებაში ჩაერთონ. ის, რომ აშშ ეუთოს წევრი ქვეყანაა, ამით ისინი თვლიან, რომ მონაწილეობენ ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში. როგორც ჩანს, ქართული მხარის პრინციპული მოწოდებით ხდება მათი ჩართვა პროცესში. იმდენად შორს არიან ამერიკელები ეთნო-კონფლიქტებისაგან, რომ უჭირთ სიღრმისეულად გაერკვნენ, თუ რა ხდება აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ჯობს მაქსიმალურად გავზარდოთ ეუთოს როლი. ბუნებრივია, რუსეთი ჩართულია და, სამწუხაროდ მას ვერ გამოვრიცხავთ. ერთადერთი გამოსავალი, - რუსეთის როლის ცივილიზებულ ფორმებში მოქცევაა. ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტური საშუალება – მინიმუმზე დავიყვანოთ რუსეთის როლი როგორც აფხაზურ, ისე ოსურ კონფლიქტში არის ის, რომ მაქსიმალურად გავიდეთ პირდაპირ კონტაქტებზე როგორც ოსურ, ისე აფხაზურ მხარეებთან. ვთვლით, რომ ეს არის ყველაზე გარანტირებული საშუალება და არა ევროპით და ამერიკით ველაპარაკოთ მათ, რაც აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი.

გიორგი გუგავა

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი

აქ გამომსვლელების მხრიდან სწორად იქნა გამახვილებული ყურადღება უპირველეს ყოვლისა კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან ხასიათზე. ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი და ამას ალტერნატივა არ გააჩნია, მიუხედავად იმისა, თუ რა სამხედრო სიძლიერე იქნება რომელიმე მხარეზე. ყველა შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან გზებზე, რადგანაც კონფლიქტი, შეიარაღებული დაპირისპირება ისეთ ისტორიულ მეხსიერებას ტოვებს, რომელიც შემდგომ აძნელებს მშვიდობიან თანაცხოვრებას. ჩვენ აუცილებლად ერთად უნდა ვიცხოვროთ ერთ სახელმწიფოში.

რაც შეეხება უმთავრეს ამოსავალ წერტილს ამ კონფლიქტის მოგვარებისა, ალბათ მხარეებს შორის ინტერესთა შეჯერება, მიზნების, ინტერესების კონსოლიდირება უნდა მოხდეს. ეს უნდა იყოს მხარეებს შორის ამოსავალი წერტილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება შემდეგ ვიფიქროთ პოლიტიკურ სტატუსზე, მოწყობაზე,

ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებზე. საფუძველი უნდა იყოს რა მიზანი და ინტერესები გააჩნია ოსურ მხარეს და რა მიზნები და ინტერესები გააჩნია ქართულ სახელმწიფოს. ამ საკითხების შეჯერება არის უმთავრესი და აქედან გამომდინარე უნდა მოხდეს შემდეგი კონკრეტული გზების ძიება და მათი რეალიზება. ბუნებრივია ეს გარკვეულ კომპრომისებს მოითხოვს ორივე მხრიდან.

მხარეებს, ბუნებრივია განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. თავისთავად გამოკვეთილია თავისი გეოპოლიტიკური სტატუსიდან გამომდინარე ორი დაინტერესებული მხარე – რუსეთი და აშშ. ასევე უნდა იყოს აუცილებლად ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები, მათი ინტერესებიდან გამომდინარე და ამავე დროს მათ ენიჭებათ გენერატორის როლი, რათა რეალიზებულ იქნეს ის შეთანხმებები, რომლებიც მხარეებს შორის დაიდება.

რაც შეეხება პოლიტიკურ სტატუსს, რომელიც თავისთავად მიბმულია ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ფორმაზე, ჩვენი პოზიცია გახლავთ შემდეგი: ვფიქრობთ, რომ ქართული სახელმწიფო უნდა იყოს უნიტარული, რომელიც ბუნებრივია ფართო ავტონომიურ წარმონაქმნებს არ გამორიცხავს და ეს ისევ და ისევ უნდა გამომდინარეობდეს იმ ინტერესებიდან და მიზნებიდან, რომელიც მხარეებს გააჩნიათ. ეს ინტერესები უნდა იქნას გამოხატული პოლიტიკური მმართველობის კულტურული და ეკონომიკურ-სოციალური საკითხების მოგვარების ფორმაში. საკმაოდ დიდი უფლებამოსილებები უნდა გადაეცეს ავტონომიას ადგილზე, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს უნიტარული სახელმწიფოს ფორმატში. ფედერაცია, როგორც მოგეხსენებათ, გარკვეულწილად სახელმწიფოთა კავშირს წარმოადგენს და საკმაოდ ფაქიზი თემაა.

რაც შეეხება ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებს, ბუნებრივია, რომ ისინი გადაწყვეტას მოითხოვს. ამავე დროს, ვითარება ბევრად გართულებულია კონფლიქტის გამო. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადრება დავუთმოთ ამ მხარეს, რადგანაც კონფლიქტის მოგვარებასთან არის დაკავშირებული. არის უამრავი პრობლემა, რომელზეც ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმა ისაუბრა. კონკრეტული პრობლემებია და მათ აუცილებლად გადაწყვეტა სჭირდება. გამორიცხული უნდა იქნეს დისკრიმინაციის რაიმე ფორმა, სამსახურებთან დამოკიდებულებაში, იგივე მიწის რეფორმასან დამოკიდებულებაში, თუ სხვა საკითხებთან მიმართებაში. ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უპირველეს ყოვლისა ხელისუფლებას. ამას პოლიტიკური პარტიები ბუნებრივია ვერ გადაწყვეტენ.

თუ ამ კონფლიქტის გენეზისს ჩავწვდებით, სხვა შეფასება არც შეიძლება მიეცეს, რომ ეს გახლავთ ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი. მას თავიდან პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, როგორც აღინიშნა აქ, მაგრამ შემდეგ, რადგანაც მკვეთრად გამოიკვეთა ეთნიკური ნიშნები, გადაიზარდა ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტად. საქართველოს სახელმწიფო წყობის ჩვენეული ხედვა, რომელიც მე მოგახსენეთ, იმპერატიულ ხასიათს, ბუნებრივია, არ ატარებს და მისი შეჯერება უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ოსურ მხარესთან, არამედ იგივე აფხაზურ მხარესთან და ეს ერობლიობაში უნდა იქნას განხილული და ერთობლიობაში უნდა იყოს მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებები.

თუმცა მიმაჩნია, რომ ქართული სახელმწიფო უნდა იყოს უნიტარული და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ის თავის თავში არ გამორიცხავს ავტონომიურ წარმონაქმნებს, რომლებსაც საკმაოდ ფართო უფლებები ექნებათ. ამის არა ერთ პრეცენდეტს იცნობს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფო. რაც შეეხება ფედერაციას, მას წარმონაქმნის სხვადასხვა ისტორიული გზა გააჩნია, რომელთან შესაბამისობაში ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია და არსებული სიტუაცია ალბათ ნაკლებად მოდის.

შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო კონფლიქტის მოგვარების ვადები. ჩვენ უნდა შევქმნათ მექანიზმი, მოდელი, კონფლიქტის დარეგულირებისა და ამ მექანიზმმა თუ ეფექტურად იმუშავა, თავისთავად დრო იქნება შედარებით ნაკლები. ვადები პირდაპირ იქნება დამოკიდებული კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის ეფექტურობაზე.

ძალისმიერი მეთოდი, ბუნებრივია, არ არის პრობლემის გადაწყვეტის გზა და იგი უნდა გამოვრცხოთ. ეს შეიძლება იყოს მოკლევადიანი წარმატება რომელიმე მხარისათვის, მაგრამ ამან შეიძლება ისეთი ისტორიული მეხსიერება დატოვოს, რომლის განეიტრალებას შემდეგ თაობათა ცვლა დასჭირდება, და პრაქტიკულად გამორიცხავს შემდგომში მშვიდობიან თანაცხოვრებას. სწორედ მაშინდელი სისხლიანი დაპირისპირების შედეგებს ვიმკით დღესაც.

რაც შეეხება პოლიტიკურ სტატუსს – მასზე აქტიურად უნდა ვიმსჯელოთ. ეხლავე უნდა ჰქონდეს მხარეებს ამაზე ნათელი წარმოდგენა და თუ შესაძლებელია, დღესვე უნდა მოხდეს ამაზე შეთანხმება, რათა შემდგომში ამან არ გამოიწვიოს სხვა გართულებები. ვფიქრობ ძირითად მიზეზს დღეს ამ კონფლიქტისა, სწორედ ამ პოლიტიკური სტატუსის განუსაზღვრელობა განაპირობებს, რაც სხვადასხვა მანიპულირებების საშუალებას აძლევს მხარეებს.

უდიდესი როლი ენიჭება სოციალურ-ეკონომიკრი საკითხების მოგვარებას არამარტო ამ მხარეში, არამედ მთელ ქვეყანაში. ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ამ კონფლიქტის დარეგულირებაც. ქართული ხელისუფლების უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს, ის, რომ მიმზიდველი გახადოს გარემო დანარჩენ ქვეყანაში. გაადვილდება კონფლიქტის მოგვარება, თუ შექმნილია ნიადაგი ეკონომიკის განვითარებისათვის და მაღალია მოსახლეობის სოციალური დონე.

სპეციფიური დელიკატური საკითხია განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნა. ამასთან დაკავშირებით ვერ მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებას, თუმცა მსჟელობის საგანი შეიძლება იყოს. ამ ეტაპზე გარკვეული პასუხის გაცემა, სანამ სხვა საკითხები არ არის მოგვარებული ძალიან ძნელია.

რაც შეეხება მხარეებს, ბუნებრივია რომ ჩართული უნდა იყოს რუსული მხარეც, მის უშუალო ინტერესს წარმოადგენს ეს სიტუაცია, რომელიც წარმოქმნილია ამ მხარეში. ჩართული უნდა იყოს აშშ-ც, რომელიც უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს ქართული სახელმწიფოსათვის. ამავე დროს მას განსაკუთრებული გეოპოლიტიკური სტატუსი გააჩნია მთელ მსოფლიოში. უნდა

გავააქტიუროთ აუცილებლად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, რომლებიც არა მხოლოდ ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ გარანტორის ფუნქციიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ფუნქციას იძენენ. ეს არის მოკლე კონცეფციის კუთხით ჩვენი წარმოდგენები ამ კონფლიქტთან დაკავშირებით, რომლებსაც ბუნებრივია, დაკონკრეტება სჭირდება, თუ ძირითად საკითხებზე პრინციპული შეთანხმებები იქნება მიღწეული, ამის შემდგომ გაადვილდება კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

ზურაბ ტყემალაძე

მრეწველთა პარტიის თავმჯდომარე

მე შევეცდები მოკლედ გამოვხატო ჩემი აზრები და როგორც მასპინძლებმა გვითხრეს, მოგახსენებთ იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთებულიყო, და არ გავაკეთებ იმ შეფასებებს, რაც აქამდე იყო. ამაზე უკვე საკმაოდ ითქვა და აღარ განვმეორდები. გამოვიყენებ თქვენს კითხვარს.

ამ კონფლიქტს ვაფასებთ, როგორც პოლიტიკურ კონფლიქტს, რომელიც რა თქმა უნდა, შემდგომ გადაიზარდა ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტში.

სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასიმეტრიული ფედერაცია უნიტარული ავტონომიებით უფრო მისაღები იქნება საქართველოსთვის.

კონფლიქტის დარეგულირება, მგონი წლებით არ განისაზღვრება. ტკივილს მოშუშება სჭირდება და ამას ნამდვილად გარკვეული დრო დასჭირდება. რაც შეიძლება დროზე უნდა დავიწყოთ აქტიური თანამშრომლობა და მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ დაიწყოს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება.

რა თქმა უნდა, მეც აბსოლუტურად გამოვრიცხავ საუბარს ძალისმიერ მოქმედებაზე, იმიტომ რომ ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ჩვენ ამის მაგალითები ბევრი გვაქვს და ამაზე მსჯელობაც ნამდვილად არ მინდა.

სტატუსზე საუბარი ნამდვილად არ მიმაჩნია ამ ეტაპზე მიზანშეწონილად იმიტომ, რომ სანამ ჩვენ სახელმწიფოში არ ჩამოვყალიბებულვართ, სახელმწიფოს მოწყობის რომელ ვარიანტზე ვჩერდებით, მანამდე სტატუსზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია, მით უფრო კოკოითის განცხადების მიხედვით ეს საკითხი არ არის აქტუალურად დაყენებული. ამაზე საუბარი შემდგომ ეტაპზე შეიძლება დავიწყოთ.

სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს რა თქმა უნდა მთავარ და გადამწყვეტ როლს ვანიჭებთ, იმიტომ, რომ ეკონომიკა არის სწორედ ის საფუძველი, რომელზეც მყარდება კონფლიქტში ჩართული მხარეების ურთიერთობები და აჩენს

ინტერესს ერთმანეთის მიმართ. ბუნებრივია ჩვენი ქვეყანა უნდა გაძლიერდეს, ის უნდა იყოს მიმზიდველი. რაც შეეხება ეკონომიკურ ზონებს, ისინი სხვადასხვანაირია. სპეციალური ეკონომიკური ზონა აბსოლუტურად სხვა რამეა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა სულ სხვა. ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთი საკმაოდ ფართე თავისუფალ ეკონომიკურ ზონას ალაგირის რაიონიდან მოყოლებული მთელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიისა და გორის რაიონის ჩათვლით არ დაუშვებს, არა მგონია რომ არ დაუშვას, იმიტომ რომ ინგუშეთში ეს განხორციელდა, სადაც სპეციალური ეკონომიკური ზონა დაარსდა და მე მგონი, დღესაც არსებობს. ხოლო რაც შეეხება კალინგრადის მაგალითს ეს არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რაც შინაარსობრივად სულ სხვაა. აქედან გამომდინარე მე ნამდვილად მიმაჩნია, რომ სწორი ფორმა უნდა იყოს შერჩეული ეკონომიკური ზონებისა და თუ ეს სწორი ფორმა იქნება შერჩეული, რა თქმა უნდა, ეს ბევრ დადებითს მოგვიტანს.

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ფიქრია ჩიხრაძეს არ მინდა დავეთანხმო, როცა იყო საუბარი აჭარის შემთხვევაში, ცოტა სხვანაირი სიტუაცია იყო. ჩვენ, მაგალითად, მაშინ დავუჭირეთ მას მხარი და იმიტომ, რომ აჭარაში ისედაც იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონა და ჩვნი იურისდიქცია არ ხორციელდებოდა. აქედან გამომდინარე ჯობდა ეს რაღაც გარკვეულ საკანონმდებლო ჩარჩოში მოგვექცია. გარკვეული იძულებითი მიმართულება ამ შემთხვევაშიც არის – კონფლიქტურ ზონებთან, და ამიტომაც, რაღაცნაირად ხელი უნდა შევუწყოთ ამ საკითხს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოსებსაც და ქართველებსაც თავიანთი პრობლემა თვითონ უნდა მოეგვარებინათ, ყოველგვარი ზედმეტი ჩარევის გარეშე, მაგრამ სამწუხაროდ, იმდენად დაეცა ნდობის ხარისხი, რომ მის მოსაპოვებლად საჭირო არის გარანტორი ქვეყნების ჩართვა. რა თქმა უნდა, რუსეთი, გვინდა თუ არ გვინდა, ისედაც ჩართულია და უნდა ვეცადოთ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, ორივე გამოვიყენოთ საჩვენოდ, და განსაკუთრებული ყურადრება მიექცეს მათი როლის განსაზღვრას კონფლიქტის მოგვარბის საკითხში.

დასკვნა

შეხვედრას, მიუხედავად მოცემული დაპირებისა, არ დაესწრნენ კონსერვატიული პარტიისა და ტრადიციონალისტების წარმომადგენლები, შესაბამისად უცნობი დარჩა საზოგადოებისათვის ხსენებული პოლიტიკური ორგანიზაციების პოზიცია ქართულ-ოსური კონფლიქტის რიგ საკითხებთან დაკავშირებით. იმედია, მომავალში, მსგავსი შეხვედრების ჩატარების შემთხვევაში, ისინი გამოიყენებენ მიცემულ შესაძლებლობას და დააკმაყოფილებენ საზოგადოების ინტერესს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის გარშემო მსჯელობისას, გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმის დადებით მხარეებს, რაც პირველ რიგში, დარეგულირების მშვიდობიანი გზის

უალტერნატივო ხასიათში გამოიხატებოდა. მშვიდობიანი მეთოდები ქმნის ნდობის აღდგენის საფუძველს და კარგ წინაპირობას იძლევა კონფლიქტების საბოლოო დარეგულირებისათვის. ამ თვალსაზრისით გამოითქვა იდეა, რომ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის მომხდარიყო ერთგვარი ,,სამშვიდობო დეკლარაციის ხელმოწერა, სადაც ისინი თავის თავზე აიღებდნენ ვალდებულებას, კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი გზებით დარეგულირების შესახებ, დამოუკიდებლად იმისა, იქნებიან ისინი თუ არა ხელისუფლებაში. გარკვეული კონსენსუსი ამ თვალსაზრისით შედგა, თუმცა რესპუბლიკური პარტიის მხრიდან გამოითქვა ერთგვარი უნდობლობა ამ იდეის მიმართ, რაც პარტიის ისედაც მშვიდობის მომხრე პოზიციის დოკუმენტში დამატებითი დაფიქსირების მიზანშეუწონლობით აიხსნა. მიუხედავად ამ შენიშვნისა, დეკლარაციის იდეაზე შემდგომი მუშაობის პერსპექტიულობას ხაზი გაესვა შეხვედრის დანარჩენი მონაწილეების მხრიდან.

დისკუსიის დროს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრთა მიერ გაჟღერებულ ,,ნოღაიდელის გეგმაში" პრიორიტეტული ადგილი ეკავა ეკონომიკურ-სოციალური პროგრამების განხორციელების იდეას. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ამ ვალსაზრისით იმედი გამოთქვეს, რომ ინიციატივაში გაჯღერებული იდეები მხოლოდ იდეებად არ დარჩება, არამედ დაიწყება მათი რეალური განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, მაგალითისათვის, მრეწველთა და ლეიბორისტული პარტიების და ახალი მემარჯვენეების წარმომადგენლების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ სამშვიდობო ინიციატივაში გაჯღერებული სპეციალური ეკონომიკური ზონა საფუძვლიანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური გათვლების ჩატარებას მოითხვს, რათა წინასწარვე განისაზღვროს ამ იდეის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ისევე როფორც ,,წყალქვეშა დინებები" და ზოგადად პოლიტიკური მიზანშეწონილობა.

ქართულ-ოსური კონფლიქტი შეხვედრის მონაწილეთა მიერ შეფასდა, როგორც ეთნო-ტერიტორიული, თუმცა მისი გამომწვევი და ბიძგის მიმცემი პოლიტიკური გადაწყვეტილებები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ყველა აღნიშნავდა რუსეთის, აშშ-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების კონფლიქტის დარეგულირებაში უფრო მეტად ჩართვის აუცილებლობას, ხაზი გაესვა, პირველ რიგში, ქართულ-ოსური უშუალო და პირდაპირი დიალოგის გამართვის აუცილებლობას. ამ თვალსაზრისით ქართულ მხარეს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, თუნდაც ცალმხრივი ნაბიჯების გადადგმის (ინიციატივები, პროდუქტები) კუთხით.

ზოგადად შეხვედრა მეტად საქმიან და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩატარდა. პოლიტიკური პარტიებისა და სხვა დამსწრეთა მიერ აღინიშნა, რომ მსგავსი მშვიდი და შედეგზე ორიენტირებული შეხვედრების სტილის გადაღება სხვა პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობისას მეტად სასარგებლო იქნებოდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის. სწორედ შეხვედრის ორგანიზების მკაფიო მიზეზმა, სამუშაო მეთოდიკის სიმარტვემ და კონკრეტული შედეგების მოლოდინმა განაპირობა შეხვედრის ობიექტურობა, სამუშაო ატმოსფერო და ზოგადად პოზიტიურად შეფასების განცდის გაჩენა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე 2005 წლის 26 იანვარს

დღეს თქვენს წინაშე იმისათვის ვდგავარ, რომ ცხინვალის რეგიონში, რომელიც ზოგადად სამხრეთ ოსეთის სახელით არის ცნობილი, მშვიდობის დამყარების ჩემეული ხედვა გაგიზიაროთ.

ეს არის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი კუთხე, რომელიც გარე სამყარომ დიდი ხანია დაივიწყა და მივიწყებულია საკუთარ სახლშიც.

ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებულ სირთულეებზე და საჭიროებებზე საუბრისას, აფხაზესთსაც ვგულისხმობ და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მივმართავ.

ვინაიდან ჩვენ საერთო ისტორია, მიწა და მომავალი გვაქვს, ჩვენი საზოგადოებები ერთობლივი ძალებით უნდა ავაღორძინოთ და გავაერთიანოთ, რადგან არც ერთ ბავშვს ომის შიში არ ჰქონდეს.

საქართველოს ხელისუფლების სახელით, წარმოგიდგენთ ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) სამშვიდობო ინიციატვას. მშვიდობიანი და გაერთიანებული საქართველოს ჩვნეული ხედვა, უპირველეს ყოვლისა, იმ სურვილისა და უფლების პატივისცემას ემყარება, რასაც ცხინვალის რეგიონის ავტონომია ეწოდება.

თუ საბჭოთა კავშირის დროს ცხინვალის რეგიონი მცირე ავტონომიის უფლებით სარგებლობდა, ამ გეგმის მიხედვით, მას ბევრად უფრო ფართო ავტონომია ექნება. ფაქტობრივად, უფრო დიდი, ვიდრე თვით ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩვენი გეგმა ცხინვალის რეგიონს ავტონომიის კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი შტოსა და პარლამენტის თავისუფალი და პირდაპირი არჩევის უფლებას გულისხმობს.

ცხინვალის რეგიონის პარლამენტი კონტროლს განხორციელებს კულტურის, განათლების, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის, საზოგადოებრივი წესრიგის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და გარემოს დაცვის საკითხებზე.

ამავე დროს, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას სახელმწიფო სტრუქტურაში ხმის უფლება ექნებათ, რის კონსტიტუციურ გარანტიასაც ეს გეგმა იძლევა.

სახელმწიფო სტრუქტურებში – საქართველოს პარლამენტში, სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოში მათ წარმომადგენლები ეყოლებათ.

იმისათვის, რომ საქართველო ძლიერი იყოს, თბილისში და ცხინვალში ერთად მუშაობა უნდა ვისწავლოთ. ჩვენი გეგმა ამისთვის აუცილებელ ინსტიტუციონალურ საფუძველს ქმნის.

ამ სამშვიდობო ინიციატივაში ოსების უნიკალური ისტორია, მათი მდიდარი კულტურა, ტრადიცია და ენა აისახება.

ეს გეგმა ოსური ენისთვის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს, რაც განათლების სისტემის დეცენტრალიზაციითა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდება.

ეთნიკური და ენობრივი მრავალფეროვნება, ისტორია და ტრადიციები საქართველოს კულტურას გამონაკლისად აქცევს, ჩვენი გეგმა კი, სწორედ ამ სიმდიდრის დაცვასა და ხელშეწყობას გულისხმობს.

მშიდობის შენარჩუნებას ვერ შევძლებთ, თუ ხალხი მშიერი, დაუსაქმებელი იქნება, არ შეექმნება საყოფაცხოვრებო პირობები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ ექნება თვითრეალიზაციის საშუალება და იმედი.

ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სტაბილურობას იმსახურებს, რაც ამჟამად დანარჩენ საქართველოს აქვს.

ისინი იმასაც იმსახურებენ, რომ საქართველოში ჩადებული ინვესტიციებისაგან და ჩვენს ხელთ არსებული უამრავი შესაძლებლობისაგან სარგებლობა მიიღონ.

ამ გეგმის თანახმად, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა გამოიყოფა.

ჩვენ ცხინვალის რეგიონს დახმარების ხელს გავუწვდით, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ ეკონმიკის ასაღორძინებელი პროექტები დააფინანსოს.

ჩვენ მათ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის პირობებს შევუქმნით, რაც მოსახლეობას სტაბილური სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს.

ჩვენ შეგვიძლია, რომ მათ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა შევავაზოთ და რუსეთის საზღვრის გადალახვის პროცედურა გავამარტივოთ.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ცხინვალის რეგიონის ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკონომკური პოლიტიკის განსაზღვრისა და კონტროლის უფლება ექნებათ, რათა მათი არჩევანი რეგიონის საჭიროებებს, ინტერსებსა და პრიორტეტებს პასუხობდეს.

საქართველოსთან ერთად ცხინვალის რეგიონიც აყვავდება.

მშვიდობის დასამყარებლად აუცილებელი სიმამაცე ჩვენგან წარსულში ჩადენილ დანაშაულთა და დაშვებულ შეცდომათა გაცნობიერბას მოითხოვს. სამწუხაროდ ასეთი ფაქტი ბევრია.

ეს გეგმა ქონების რესტიტუციის შესახებ კანონის მიღებას მოითხოვს, რაც 1990-92 წლებში მიმდინარე კონფლიქტის დროს დაზარალებულებისათვის კონპენსაციების გაცემის საშუალებას მოგვცემს.

მთავრობა მზად არის სახელმწიფოსგან მზრუნველობამოკლებულ ადამიანებს საპენსიო დავალიანება გადაუხადოს, რომელიც დღევანდელ განაკვეთზე ნაკლები არ იქნება.

წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, ეს ინიციატივა სპეციალური კომისიის შექმნის საშუალებას იძლევა., რომელიც ქონებრივ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს მოაგვარებს და მოსახლეობის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე იმუშავებს.

როგორი მძიმეც არ უნდა იყოს წარსულის დავიწყება, სამართლიანობისა და ღირსების შენარჩუნება უნდა შევძლოთ.

ეს ინიციატივა იძულებით გადაადგილებული ყველა პირისთვის დაბრუნების უფლების გარანტი იქნება. სახელმწიფოს ნება კი, ფინანსურად დაეხმაროს მათ, კიდევ უფრო გაამყარებს ამ უფლებას.

მშვიდობისაკენ მიმავალი გზა მოკლე და ადვილი არ იქნება.

ამ რეალობის გათვალისწინებით, ეს ინიციატივა კონფლიქტის მოგვარების გარდამავალი პერიოდის სამწლიან ეტაპს გულისხმობს.

ამ ხნის განმავლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების ზედამხედველობით, ქართულ-ოსური პოლიციის შერეული ჯგუფები უნდა შეიქმნას, რომლებიც სამოქალაქო წესრიგს და თავისუფალ გადაადგილებას უზრუნველყოფენ. ამ პერიოდში ცხინვალის შეიარაღბული ძალები საქართველოს ერთიან შეიარაღებულ ძალას შეუერთდება.

ეს არის პერიოდი, როდესაც ნდობა შიშს შეცვლის, ხოლო იმედი ეჭვს დაამარცხებს.

ეს არის პერიოდი, როდესაც მშვიდობის ნაყოფს და განახლებულ კეთილდღეობას ყველა შეიგრძნობს.

მშვიდობისათვის ბრძოლა სამართლიანი და კეთილშობილური საქმეა, მაგრამ ჩვენ მარტო ამის მიღწევას ვერ შევძლებთ.

თუ წარმატება გვიწერია, ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტებმა უფრო აქტიური და თვალსაჩინო როლი შეასრულონ.

ევროსაბჭომ მომრიგებლის ფუნქცია უნდა იტვირთოს.

ეუთომ მშიდობის მონიტორინგი უნდა განახორციელოს. ევროკავშირი მშვიდობის გარანტი უნდა გახდეს.

ამერიკის შეერთებული შტატები მშვიდობის მხარდამჭერი უნდა იყოს და რუსეთის ფედერაციამ მშვიდობის დასამყარბლად კონსტრუქციული პარტნიორის როლი უნდა შეასრულოს, რასაც მივესალმებით კიდეც.

იმისათვის, რომ მმართველობის ინსტიტუტები და ნდობა აღვადგინოთ, ცხინვალისა და საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობას თქვენი დახმარება სჭირდება.

მე მჯერა, რომ ეს ინიციატივა მშვიდობის დასამყარებლად განახლებულ პლატფორმას ქმნის და კეთილ ნებას გამოხატავს.

ამ ინიციატივის კომპონენტები იმას ადასტურებენ, რომ საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება ცხინვალის რეგიონის ხალხს ახალ მომავალს სთავაზობს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გადაწყვეტილება მშვიდობის სასარგებლოდ მივიღეთ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ძალზედ რთული, მაგრამ აუცილებელი გადაწყვეტილება მივიღეთ.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინოციატივა კონფლიქტის სამართლიანი მოგვარებისათვის მყარ საფუძველს ქმნის.

ჩვენ გვესმის, რომ დეტალების შემუშავებას დრო სჭირდება. ეს მოქნილობას, კომპრომისს და ყველა მხარის კეთილ ნებას მოითხოვს.

ჩვენ იმ მწარე რეალობასაც ვაცნობიერებთ, რომ მშვიდობა ზოგჯერ ყველას ინტერესს არ წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ გამოწვევებისათვის, ამ პროცესებისათვის მიმართულების შეცვლის მცდელობებისათვის, რისკისთვის, რომელიც ძნელი გადაწყვეტილების მიღებას მოყვება.

საქართველო მზად არის ამ რისკის გასაწვევად.

დღეს საქართველო პირველ ნაბიჯს დგამს.

დღეს მე ვაცხადებ, რომ დადგა დრო, ეს მომაკვდინებელი კონფლიქტები წარსულს ჩავაბარიოთ.

დადგა დრო, რომ ხალხს შორის განხეთქილებას ბოლო მოეღოს.

დადგა დრო, რომ სიღატაკეს, უიმედობასა და სასოწარკვეთას ბოლო მოვუღოთ.

დადგა დრო, რომ ყველა, ვისაც ეს კონფლიქტი შეეხო, მშვიდობის ჭეშმარიტი დამცველი გახდეს და არასტაბილურობას, არაჟანსაღ და გაყინულ მდგომარეობას ხელი აღარ შეუწყოს.

მე ვიმედოვნებ, რომ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა და საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა პასუხისმგებელი ერი, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით გაერთიანდება და აქტიურ მხარდაჭერას გაგვიწევს.

საქართველოს პრემიერ – მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის სამშვიდობო გეგმა

2005				
მიზნები და ამოცანები: რუსული და ოსური მხარეების ჩართვა ახალ სამშვიდობო ფორმატში; ერთობლივი სტრატეგიის შემუშავება აშშ – ის, საქართველოს, ევროკავშირი|/ ეუთოს წევრი ქვეყნების მონაწილეობით სამშვიდობო პროცესის მხარდასაჭერად; შეთანხმდეს საერთო სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გააუმჯობესებს უწყებათაშორის კოორდინაციასა და ქართული მხარის მოქმედების ეფექტურობას; ლიუბლიანის მინისტრების შეხვედრაზე მივაღწიოთ მნიშვნელოვან პროგრესს.				
თარიღი	საერთაშორისო მოქმედებები	ოპერატიული მოქმედებები	შესათანხმებელი მოქმედებები	ქართული ცალმხრივი მოქმედებები
	1.ქართული მხარისა და პარტნიორების კონსულტაციები სამხრეთ ოსეთის სტრატეგიის შესახებ 2.პარტნიორები აკეთებენ საჯარო განცხადებას პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართვის მხარდასაჭერად 3. ქართული მხარის გამოსვლის მხარდაჭერა ეუთოს მაღალი დონის შეხვედრაზე.	ქვეყნისადმი მიმართვაში პრეზიდენტი სააკაშვილი ასახელებს ცალკეულ ოფიციალურ პირს, რომელსაც ეკისრება სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის) რეგიონის მიმართ პოლიტიკის კოორდინაცია და უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის მართვა; აკეთებს განცხადებას ძალის არ გამოყენების გარანტიის შესახებ. 2. კოორდინატორი შეკრებს უწყებათაშორის ჯგუფს სამხრეთ ოსეთის/ ცხინვალის რეგიონზე საერთო სტრეტეგიის მისაღებად. 3. გააქტიურდეს დისკუსიები შსკ –ს ფარგლებში	1. შსკ – ზე განიხილება მართლწესრიგის განმტკიცების საკი.თხები. დასტურდება, რომ შსკ –ის თანხმობის გარეშე შეიარაღებული ფორმირებების კონფლიქტის ზონაში არ იქნება განლაგებული. შემუშავდება კონკრეტული წინადადებები სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის მუშაობის შესახებ. 2. შსკ – ს სხდომაზე განიხილება ქართული სამშვიდობო ბატალიონის	1. ქვეყნისადმი მიმართვაში პრეზიდენტი სააკაშვილი ასახელებს ცალკეულ ოფიციალირ პირს, რომელსაც ეკისრება სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის) რეგიონის მიმართ პოლიტიკის კოორდინაცია და უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის მართვა (მეთაურობა). აცხადებს ძალის არ გამოყენების გარანტიას. 2. ქართული მხარე უზრუნველყოფს, რომ სამთავრობო საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრებმა მიიღოს რეგულარული ხასიათი. 3. პრემიერმინისტრი და სხვა ოფიციალური პირები იწყებენ შეხვედრებს რუსეთის

		სამართალდამცავი საკითხებისა და ნდობის აღდგენის ზომების თაობაზე (სატრანსპორტო და სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის გააქტიურების საკითხებზე). 4. ვენაში ეუთო – ს მაღალი დონის შეხვედრაზე გაჟღერდება ქართული სტრატეგია.	შემადგენლობის რაოდენობის მაქსიმუმამდე შევსება. 3. შსკ – ს სხდომაზე ქართული მხარე წარმოადგენს წინადადებებს გორი – ცხინვალი – კეხვის მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის აღდგენის შესახებ. 4.შსკ – სთან თანამშრომლობით დაიწყება ერთობლივი ორმხრივი საპოლიციო კონტროლის საკითხის განხილვა	წარმომადგენლობასთან თბილისში და კოლეგებთან მოსკოვში. 4. პრემიერმინისტრი, პარლამენტი და საგარეო საქმეთა სამინისტრო ამყარებენ კონტაქტებს ეუთოს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ევროპის საბჭოსთან (ოქტომბრის ბოლო).

2005				
თარიღი	საერთაშორისო მოქმედებები	ოპერატიული მოქმედებები	შესათანხმებელი მოქმედებები	ქართული ცალმხრივი მოქმედებები
ნოემბერი	1. პარტნიორები თანხმდეებიან თანამშრომლობისათვის 2. საქართველო და პარტნიორები მიმართავენ ევროკავშირს და მოახსენებენ კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიის შესახებ. 3. პარტნიორები მართავენ მოლაპარაკებებს ოსურ მხარესთან. კოკოითი კოორდინატორის შეხვედრის ხელშესაწყობად	1. საქართველო აკეთებს განცხადებას, რომელშიც ითხოვს ევროკავშირის, რუსეთისა და და სხვების დახმარებას 2 ქართული მხარე ცდილობს შეახვედროს კოორდინატორი და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე – ფაქტო 3. კოორდინატორისა და კოკოითის შეხვედრა მოსამზადებელი, სტრატეგიის წარდგენა, თავისუფალი და პირდაპირი დიალოგის შეთავაზება ცხელი ხაზის ამოქმედება. 4. შსკ –ს ფარგლებს გარეთ შედგება შეხვედრები, სადაც განიხილავენ ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურულ პროგრამებს და ა. შ.D.	სახელმწიფო მინისტრი უწევს ორგანიზებას კოორდინატორისა და კოკოითის შეხვედრას. 2. სახელმწიფო მინისტრი მოამზადებს წინადადებებს ნდობის აღდგენის ზომების შესახებ	1. გრძელდება რესტიტუციის კანონის მიღების ხელშეწყობა 2. ეუთოსთან და ევროკავშირის საბჭოსთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია ეუთოს სა ც საჭიროების შემსწავლელი პროგრამის განსახორციელებლად 3, პრემიერ – მინისტრი და სხვა ოფიციალური პირები შეხვედრებს რუსეთის წარმომადგენლობასთან თბილისში და კოლეგებთან მოსკოვში; ამყარებენ კონტაქტებს ეუთო/ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან 5. დაიწყება კონფლიქტის ზონის სოფლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ზამთრისთვის მომარაგება (იგივე შეთავაზება ოსურ სოფლებს ქართული მხარის კეთილი ნების ნიშნად)

2005				
თარიღი	საერთაშორისო მოქმედებები	ოპერატიული მოქმედებები	შესათანხმებელი ქმედებები	საქართველოს ცალმხრივი მოქმედებები
ნოემბერი	1. გაგრძელდეს მუშაობა, რათა დაარწმუნონ ოსური მხარე ითანამშრომლონ ქართული ინიციატივების მხარდასაჭერად 2. ქართული მხარის გამოსვლის მხარდაჭერა ეუთოს მაღალი დონის შეხვედრაზე	1. მოეწყობა ტელეხიდები და ღია დისკუსიები საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობით. 2. გრძელდება გამოსვლები, ვენაში, ეუთოს მაღალი დონის შეხვედრებზე 3. განიხილება დისკუსიები პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე (ბადენის პაკეტი 20000	1. შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში სპეციალური საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბება. დამთავრდეს პოლიციის სტაციონალური საგუშაგოების ოპტიმიზაცია. შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები ერთობლივი საპოლიციო საქმიანობის განსახორციელებლად	1. გაგრძელდება რესტიტუციის კანონის შემუშავება და კონსულტაციები ჩრდილოეთ ოსეთის მხარესთან. 2. ეუთოს საჭიროების შეფასების პროგრამის შესახებ შეხვედრების გაგრძელება.

2005				
თარიღი	საერთაშორისო მოქმედებები	ოპერატიული მოქმედებები	შესათანხმებელი მოქმედებები	საქართველოს ცალმხრივი მოქმედებები
